პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 ივლისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 129 (9796) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მეტი საჯაროობა

დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს სკკპ მე-19 საკავშირო კონფერენციის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისა და არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. გარდაქმნის პროცესი გარანტირებულია, იწყება მისი ახალი ეტაპი, რომელმაც უფრო მასშტაბურად, უფრო ღრმად უნდა მოიცვას ცხოვრების ყველა სფერო. ხალხის კეთილდღეობისთვის, ადამიანისთვის ზრუნვა პარტიის უზენაესი ამოცანაა, რაც კონფერენციის მასალებშიც მკაფიოდ აისახა. როცა დელეგატები ლაპარაკობდნენ თანამედროვე ადამიანის აღზრდაზე, ხაზი გაესვა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების მნიშვნელობას, ითქვა, რომ დღეს ჩვენს სკოლებში საკმარისი აღარ არის ფიზკულტურის ორი გაკვეთილი და აუცილებლად უნდა გადავიდეთ ყოველდღიურ მეცადინეობაზე. ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური როლი განუხრელად იზრდება, იგი მასების საარსებო მოთხოვნილებად იქცა და, ამდენად, განსაკუთრებით მაღლდება ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების პასუხისმგებლობა.

გარდაქმნა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში საგრძნობია, მაგრამ მიღწეულის ფონზე უფრო თვალსაჩინო ხდება გადასაჭრელი პრობლემები, მეტი სითამამე გვინდა სიახლეთა ძიება-დამკვიდრებაში, გვჭირდება მეტი კრიტიკა და თვითკრიტიკა, მეტი საჯაროობა. ახლა დემოკრატიზაციის პირობებში ვცხოვრობთ, ასეთ ვითარებაში ჩვენც მთლიანად უნდა გარდავიქმნათ და საქმეც უნდა გარდავქმნათ. ვაღიაროთ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი მუშაკები, მათ შორის ხელმძღვანელ რგოლშიც, რომლებიც, რა დასამალია, გაურბიან პასუხისმგებლობას ან ვერ შელევიან ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ, ბიუროკრატიულ მეთოდს. ბევრიც სხვისი კარნახით მუშაობს, სხვისი მოიმედეა, მისაღებად მიაჩნია მხოლოდ ზემოდან ნაკარნახევი აზრები. ასე შორს ვერ წავალთ. ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს სფეროში ნაკლოვანებები არ ინიღბება, ძალიან მკაფიოდ ჩანს. ხშირად ბევრ ღონისძიებას მივმართავთ, კომისიები და ჯგუფები იქმნება, რომ... დავამტკიცოთ ის, რაც ისედაც ნათელია. ნათქვამის ერთი კონკრეტული მაგალითი გახლავთ სპორტული სკოლებისა და სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების საკითხი. განა იქ მომუშავე სპეციალისტებმა სხვებზე უკეთ არ უნდა იცოდნენ ამ სკოლების დანიშნულება, ისე რომ, იქ თავშესაფარი არ არის და პროტექციონიზმს არაფერი ესაქმება.

ახლა დრო დადგა ვისწავლოთ მანეთის ფასი, მკაცრად მოვითხოვოთ დაბანდებული თანხის უკუგება, ყველაფერში ვიყოთ ანგარიშიანები. ზოგიერთი სპეციალისტი კვლავ ძველებურად აზროვნებს და მოქმედებს — წარმატებებზე ცდილობს ქვეყანას მიაწვდინოს ხმა, ნაკლოვანებებსა და ჩავარდნებზე კი სდუმს. კარგად წამოვიწყეთ და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ცალკეულ სახეობებში სპორტსმენთა მომზადების ერთიანი მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ამ საქმეში შეინიშნება ყურადღების ერთგვარი მოდუნება, რაც ისევ და ისევ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკები ჩამორჩებიან გარდაქმნის მოთხოვნებს.

წინ დიდი სამუშაო გველის, მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენციის კურსი თითოეულ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მეტი სარგებლობა მოუტანოს როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებას და ქვეყანას, ხოლო შესაძლებლობების სრულ რეალიზაციაში კი, არა სხვისი, არამედ პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის მოიმედენი უნდა ვიყოთ.

# ვახტანგ იაგორაშვილი — ნაკრების ლიდერი

**მსოფლიოს** ყველა უძლიერესმა თანამედროვე ხუთჭიდელმა (სულ 62 მონაწილე) მოიყარა თავი რომში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა სერიოზული გამოცდა იყო სეულის ოლიმპიადის წინ. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ვახტანგ იაგორაშვილი, ანდრეი ტროპინი, ლეონიდ ვიტოსლავსკი და ანატოლი ავდეევი. ეს უკანასკნელი ტრავმის გამო ასპარეზობას პირველ დღესვე გამოეთიშა. იაგორაშვილმა ფარიკაობაში 946 ქულა მოაგროვა, ცხენოსნობაში — 1100, ცურვაში — 1304, ტყვიის სროლაში — 934 და მძლეოსნურ კროსში — 1174. ამასთან, ცხენოსნობაში პირველი იყო, ცურვაში — მეორე. საბოლოოდ თბილისელმა ხუთჭიდელმა 5458 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და მყარად განიმტკიცა ადგილი საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში. ტურნირი მოიგო უნგრელმა ატილა მიზერმა — 5552 ქულა, მესამე იყო ასევე უნგრელი სპორტსმენი ლასლო ფაბიანი — 5379.




**ასეთი იყო ტურნირის აფიშა.**

# გ. კუპრეიშვილი გამარჯვებულთა შორის

**კასაბლანკა.** მაროკოში მესამედ ჩატარდა ალბერ ელ გრიშის მემორიალი — ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის, ბელგიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოზარდები. ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილი იყო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების გუნდით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა თანრიგში გამარჯვება საბჭოთა ჩოგბურთელებს დარჩათ. მათ შორის არის თბილისელი გ. კუპრეიშვილიც, რომელმაც მინსკელ ს. სკაკუნთან ერთად შერეულთა შეჯიბრება მოიგო. ფინალში ჩვენმა სპორტსმენებმა ფრანგები — გ. მორო და ტ. გორდიოლა დაამარცხეს — 7:5, 6:2.

გოგონათა ერთეულებში პირველი ადგილი დაიკავა ნ. ჩასოვაიამ (მოსკოვი), ჭაბუკთა შორის — ს. სკაკუნმა, გოგონათა წყვილებში კი ნ. ჩასოვაიამ და ხ. ხოლტერმა (პიარნუ) იმარჯვეს.



# კვლავ ჩიბურდანიძე და კასპაროვი

მსოფლიოს ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი კვლავ სათავეში უდგანან პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკეთა სიას. პროფესორ ელოს სისტემის მიხედვით 1988 წლის 1 ივლისისთვის მაია ჩიბურდანიძის რეიტინგი 2555-ს შეადგენს, მას კვალში მიჰყვება ნანა იოსელიანი — 2495. გარი კასპაროვის რეიტინგია — 2760. აქ მეორე ადგილზე იმყოფება მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი — 2725.

# გამოვლენ უცხოეთის იპოდრომზე

**ისტორიული** წყაროები მოწმობენ, რომ ჩვენი წინაპრები, ქართველი ცხენოსნები ხშირად მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ და უცხოელებს აოცებდნენ თავიანთი სიჩაუქით. ახლა, ორმხრივი ხელშეკრულებით, რაც ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნით გახდა შესაძლებელი, ჩვენი რესპუბლიკის მხედრები კვლავ გამოჩნდებიან უცხოეთის სარბიელზე. სტუდენტთა საცხენოსნო სპორტული კლუბების საერთაშორისო ასოციაციის პოლონეთის საზოგადოებამ აგვისტოში ამ ქვეყანაში დაგეგმილ დიდ შეჯიბრებაზე მიიწვია საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გუდაუთის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო კლუბის მხედრები. თბილისელი სპორტსმენები დაბრკოლებათა გადალახვაში იასპარეზებენ, გუდაუთელები კი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებს წარმოადგენენ. შემდეგ გათვალისწინებულია ჩვენი რესპუბლიკის მხედრების სხვა ქვეყნებში გამოსვლა.

POLISH STUDENTS' ASSOCIATION
ACADEMIC HORSERIDING CLUBS' FEDERATION
OFFICE FOR COOPERATION WITH ABROAD

**9 ივლისს ვორონეჟში სტარტს აიღებს ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში. ამ ასპარეზობისათვის ჩვენი გუნდის მზადების შესახებ მასალას „ლელოს" მეორე გვერდზე გთავაზობთ.**

# მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით

**საფრანგეთის** ქალაქ ბელფორში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების II ეტაპი. შესანიშნავი შედეგით — 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, რომელმაც 9 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი პარტია წააგო. მას ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. 9 ქულით III ადგილი წილად ხვდა იან ელვესტს.

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**დღეს, 10 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში (კამოს ქ. № 52) გაიმართება სამინისტროს ხელმძღვანელების შეხვედრა ამ სისტემის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრების მონაწილე საქართველოს ნაკრებ გუნდებთან.**

**იქვე მოეწყობა პრესკონფერენცია.**

**სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.**

### საქართველოს ქალთა ჩემპიონატი რუსულ შაშში

# გამარჯვებული 12 წლისაა

**ლაგოდეხის** ტურბაზა „კავკასიონში" დამთავრდა ქალთა საქართველოს ჩემპიონატი რუსულ შაშში. შეჯიბრებაში 11 ოსტატობის კანდიდატი და 4 პირველთანრიგოსანი გამოდიოდა. ფინიში ერთად „გადაკვეთეს" თბილისის 23-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ 12 წლის მადონა შალამბერიძემ (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი), სამტრედიელმა ოსტატობის კანდიდატმა, საქართველოს ექსჩემპიონმა ლია ღირდალაძემ და თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა, საქართველოს ექსჩემპიონმა იამზე წივწივაძემ, რომლებმაც 11-11 ქულა დააგროვეს, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მადონა შალამბერიძეს მიეკუთვნა. მანვე საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ადგილი ლია ღირდალაძეს, ხოლო მესამე იამზე წივწივაძეს ხვდათ წილად.



საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე, 9 წლის თბილისელი ოსტატობის კანდიდატი დიანა ავადია (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი) 8 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ზედიზედ ორი პარტია წააგო და ლიდერებს ჩამორჩა, რის შემდეგაც საბოლოოდ VI ადგილი დაიკავა. რაც რალა თქმა უნდა, ახალგაზრდა მოშაშისთვის არ უნდა იყოს ცუდი შედეგი. ტურნირის დამთავრების შემდეგ გაიმართა ელვისებური შეჯიბრება, სადაც 12 მოშაშე მონაწილეობდა. პირველობა იამზე წივწივაძემ მოიპოვა, მეორე ადგილზე კი დიანა ავადია გავიდა.

### თვის მონაგარი

# მედლები — ყველა რანგის შეჯიბრებაში

**ჩვენი** მკითხველი ალბათ ყურადღებას მიაქცევდა, რომ თვის მონაგარში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებების გახსენებას ვიწყებთ იმ მიღწევებით, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია. მეტნაკლებად ამას ვახერხებთ, მაგრამ ამჯერად, ივნისის თვის მონაგარში წარმატებათა დახარისხება საძნელო გაგვიხდა. რა თქმა უნდა, ტურნირებში და სამატჩო შეხვედრებში გამარჯვებას ჩემპიონატებში მოპოვებული წარმატება სჯობს, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ პირველობებში დასაკუთრებულ მედლებს — უფროსთა პაექრობებში დამსახურებული ჯილდოები.

მაგრამ გამონაკლისებიც ხომ არსებობს? ახლა, სეულის ოლიმპიური თამაშების წინ, ზოგიერთ ტურნირში ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებას მეტი ფასი ედება, ვიდრე საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებულ ჩვეულებრივ, რიგით წარმატებას, ან, ვთქვათ, ჭაბუკთა შეჯიბრებებში მოპოვებულ მედალს, მით უმეტეს თუ იგი ტრადიციულად ჩამორჩენილ სახეობაშია დამსახურებული, მეტი სიხარული მოაქვს, რადგან მომავალ უფრო დიდ წარმატებათა იმედს გვისახავს.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენი სპორტსმენების მიერ ივნისში მოპოვებულ მედლებს ასეთი განზომილებით მივუდგებით, უფრო მნიშვნელოვანი წარმატების გამოყოფა ძალზე გაჭირდება.

და მაინც, პრიორიტეტი **ნინო სალუქვაძეს** უნდა მივანიჭოთ, თუნდაც იმიტომ, რომ სალუქვაძის წარმატება არც ერთი ვაჟის მიღწევას ტოლს არ უდებს. ნინომ მოს-

იხ. მე-3 გვ.

### ფეხბურთის ჩემპიონატი — აშშ-ში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) აღმასრულებელმა კომიტეტმა, ციურიხში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება, 1994 წლის მსოფლიო პირველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატაროს.

ამრიგად, ამ ქვეყანამ უკან ჩამოიტოვა ორი სხვა კანდიდატურა — ბრაზილია და მაროკო.

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

# საბოლოოდ — მეხუთეზე

წყალში ხტომა

„ლელო“ უკვე იუწყებოდა, რომ სარატოვში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შეჯიბრება კარგად დაიწყეს. შეგახსენებთ, რომ ამ ქალაქში თბილისელმა მოსწავლეებმა იური შუკუროვმა და ოლეგ ვასილჩენკომ შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. პირველმა ამ წარმატებას 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მიაღწია, მეორემ — კოშკიდან ხტომაში. ვიუწყებოდით სხვათა მაჩვენებლებზეც.

მაშინ, როცა ამ შეჯიბრების შესახებ მკითხველს პირველი ინფორმაცია მივაწოდეთ, საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე იყო.

სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ლიდერებში ადგილი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ 135 ქულით V ადგილზე ჩამოქვეითდა, უძლიერესის სახელი კი რსფსრ-ის ნაკრებმა მოიპოვა (439 ქულა). მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი (286), უკრაინა (284), ბელორუსია (201).

საქართველოს ნაკრებისთვის საპატიოა თუ არა მეხუთე ადგილი? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა პირველ თამაშებზეც იგივე ადგილი დაიკავეს (ახლაც V ადგილი იყო დაგეგმილი).

აქვე ვიტყვით, რომ საქართველოში წყალში მხტომელთა ჰაპანს პრაქტიკულად მხოლოდ თბილისელები ეწევიან.

ჩვენი სპორტსმენების გამოსვლების შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოებაც — შეჯიბრებაში 1972 წელსა და შემდეგ დაბადებული ბიჭები დაიშვებოდნენ, გოგონები კი ერთი წლით უმცროსები. ჩვენს გუნდში შეკუროვი იყო ერთადერთი მაქსიმალური ასაკის სპორტსმენი, დანარჩენები 1975 წელს იყვნენ დაბადებულნი. ამდენად, მათ ძირითადად უფროსებთან იპაექრეს. ჩვენი ყველა ნორჩი სპორტსმენი პროგრამის ორივე ან ერთ-ერთ სახეობაში თორმეტ უძლიერესს შორის მაინც მოხვდა და ჩასათვლელი ქულები მოიპოვა.

# თამაშების დღიური

**თანამედროვე ხუთჭიდი** (უფა). პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ (ფარიკაობა) საქართველოს ნაკრები VII ადგილზეა.

**აკადემიური ნიჩბოსნობა** (გორკი). ფინალურ გაცურვებში მოპოვებულია ორი IV ადგილი (ორადგილიანით და ოთხადგილიანით). საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა დაიკავა XI ადგილი. დაგეგმილი იყო X ადგილი და ერთი მედალი, რაც ვერ შესრულდა.

**აფროსნობა** (ტოლიატი). პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ („470“-ის კლასში) ჩვენი რესპუბლიკის ეკიპაჟი ლიდერია.

**ბალახის ჰოკეი** (ვახილკოვო). გოგონები: საქართველო — ლენინგრადი 0:1, საქართველო — ლიტვა — 0:5. ბიჭები: საქართველო — მოსკოვი—1:6.

4 ივლისისთვის საქართველოს წარგზავნილებს მოპოვებული აქვთ 9 მედალი. აქედან ოქროსი — 2, ვერცხლისა — 4 და ბრინჯაოსი — 3.

# „უმედლოდ დაბრუნებას არ ვაპირებთ“

## ეს ასპარეზობა 9 ივლისს დაიწყება

**საქართველოს** ბატუტზე მხტომელ ჭაბუკთა ნაკრები ბოლო თვენახევრის განმავლობაში სრული შემადგენლობით აღარ შეკრებილა. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი წამყვანი სპორტსმენები სხვადასხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. ამ ხნის მანძილზე მათ რამდენიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, მათ შორის, ცხადია,





ბატუტზეა რუსუდან ხოფერია; გუნდის ლიდერები სინქრონულ ხტომაში ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი.

მთავარი რუსუდან ხოფერიას მიერ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული სამი ოქროს მედალი იყო. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტში აქსელერაციამ ყველაზე მეტად ბატუტზე მხტომელებში იჩინა თავი. საქართველოს ჭაბუკთა, ახალგაზრდული თუ მოზრდილთა ნაკრები გუნდები თითქმის ერთი და იგივე სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ეს, ერთი მხრივ, ხელს უშლიდა ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის გეგმაზომიერ მზადებას, მაგრამ მედლის მეორე მხარეს თუ შევხედავთ, მაღალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა ხელს უწყობდა სპორტსმენთა საშემსრულებლო კლასისა და გამოცდილების ამაღლებას.

ახლახან ჩვენმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით თბილისში მოიყარა თავი. იგი დღეში ორჯერ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოლქის სპორტულ კომპლექსში ვარჯიშობდა.

— ასეთი სავარჯიშო პირობები არასოდეს გვქონია, — გვითხრა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა. დარბაზში ექვსი ბატუტი გვაქვს გაშლილი. ნაკრების წევრები აქვე გვერდით, სასტუმრო „ამირანში“ არიან დაბინავებული. ერთი სიტყვით, იდეალურს მიახლოებული პირობებია.

**⊙ ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში ჩვენმა გუნდმა V ადგილი დაიკავა. მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. რა განსხვავებას ხედავთ სიძლიერის მიხედვით ძველსა და ახალ ნაკრებ გუნდებს შორის?**

— დღევანდელი გუნდი გაცილებით ძლიერია. ძველი შემადგენლობიდან მას მხოლოდ რუსუდან ხოფერია და მიხეილ პელივანიდისი შემორჩნენ. სხვათა შორის, ბრესტში ჩვენს გუნდში გოგონათა შორის მაშინაც 12 წლის რუსუდან ხოფერია იყო საუკეთესო. მან VI ადგილი დაიკავა. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსუდანი იმ დროს ავად იყო. მიხეილ პელივანიდისი XI ადგილზე გავიდა. დღეს რუსუდანი, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონია, ხოლო პელივანიდისი — საბჭოთა ნაკრები გუნდის წევრი.

**⊙ თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ ორ სპორტსმენთან ერთად ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში ჩვენი გუნდის ღირსებას ქვეყნის ნაკრების წევრები ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილიც დაიცავენ, ალბათ საპრიზო ადგილზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს.**

— ჩვენ სწორედ მესამე ადგილზე გასვლას ვვარაუდობთ.

**⊙ რას იტყვით მეტოქეებზე?**

— ჩვენი უშუალო კონკურენტები იქნებიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის კოლექტივები. ჩვენგან განსხვავებით, თითოეულ ამ რესპუბლიკაში ბატუტზე ხტომის ერთი კი არა, რამდენიმე სპეციალიზებული სკოლაა, ამის გამო მათ ნება დართეს სამ-სამი გუნდი გამოიყვანონ, ეს კი დიდ უპირატესობას ანიჭებთ.

**⊙ როგორც ვიცით, ამჟამად გუნდის შემადგენლობაში თოთხმეტი სპორტსმენია. მათგან, ოთხი ასპარეზობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ხომ ვერ დაგვისახელებდით ნაკრების სავარაუდო შემადგენლობას?**

— ჩამოგითვლით იმათ, ვინც, თუ საქმეში რაიმე გაუთვალისწინებელმა გარემოებამ არ იჩინა თავი, აუცილებლად გაემგზავრება ვორონეჟში. ესენი არიან: რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი, მიხეილ პელივანიდისი და ზაზა აბრამიშვილი. ჩვენთვის თითქმის უკვე ცნობილია გუნდის დანარჩენი ხუთი წევრის ვინაობაც, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ გვინდა მათი კონკრეტულად დასახელება. ზოგი რამ კიდევ შეიძლება შეიცვალოს ბატუტისტთა სპორტული ფორმის გათვალისწინებით.

**⊙ ბოლო წლების მიღწევებს თუ გავიხსენებთ, ალბათ ჩვენი გოგონების იმედი უფრო უნდა გვქონდეს. რას იტყვით?**



მწვრთნელები თენგიზ ხუდოევი (ცენტრში) და ზაურ ხულაშვილი ესაუბრებიან საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებს.

— ფეხბურთელები ამბობენ, ბურთი მრგვალიაო. ბატუტზე ხტომაში წარმატების წინასწარ „დაგეგმვა“ კიდევ უფრო სარისკო საქმეა. ისე კი, გეთანხმებით, რომ ამჯერად ჩვენს გოგონებს ყველა მაღალი მწვერვალის დაპყრობა შეუძლიათ. მით უმეტეს, რომ ასაკობრივი ცენზის გამო სარბიელზე ვერ გამოვლენ მსოფლიოს ექსჩემპიონები ტატიანა ლუშინა და ელენა მერკულოვა. ამავე მიზეზით ვერ იასპარეზებს რუსუდანის თანამეწყვილე სინქრონულ ხტომებში, მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი ელენა კოლომეეცი. ამ მხრივ რუსუდანს მართლაც გამარჯვების დიდი შანსი აქვს, მაგრამ წინასწარ დაბეჯითებით მაინც ვერაფერს ვიტყვით. შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზონ ჩვენმა ბიჭებმა. ერთი სიტყვით, შინ უმედლოდ დაბრუნებას არ ვაპირებთ.

**ჯემალ კახრაძე.**

სოფელი ლონიერია...

# კლუბის პირველი ნაბიჯები

ბიბლიოთეკა

**შესანიშნავი** ქართველი ფალავნის, ძიუდოში ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ანზორ კიკნაძის სახელს კარგად იცნობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იაპონიაში კი ტრადიციული ტურნირიც ტარდება, რომელიც ანზორ კიკნაძის სახელს ატარებს. ახლა ხშირად ვლაპარაკობთ იმ ტრადიციებზე, ჭიდაობის ვირტუოზებს რომ ზრდიდა. მაშინ არც ამდენი სპორტული დარბაზი გვქონდა და არც ამდენი ტიტულოვანი მწვრთნელი, სამაგიეროდ ბევრი იყო ნაცერხლოყრილი საჭიდაოები, სადაც სალამოობით დიდი და პატარა იკრიბებოდა და იმართებოდა ნამდვილი ზეიმები.



ჭიდაობის ოსტატთა გვერდით იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მომავალი ფალავნები.

ასეთი საჭიდაო იყო სოფელ ყანდაურაშიც, სადაც ადგილობრივი ფალავნები ერკინებოდნენ მეზობელ კაკაბელ, მანაველ, გიორგიწმინდელ და სხვა სოფლების მოჭიდავეებს, სწორედ ასეთ დღესასწაულებზე დავაჟკაცდა და მსოფლიო ასპარეზზე გავიდა ანზორ კიკნაძე. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. აღარც ის ნაცერხლოყრილი საჭიდაო შემოგვრჩა, აღარც ფალავნები გამოდიოდნენ ძალის საცდელად და ჩაქვდა სოფელში ჭიდაობის სასახელო ტრადიციები.

შარშანწინ, 1986 წლის 5 აგვისტოს კი სოფელს სასიხარულო ამბავი მოედო, ყანდაურის სასოფლო კლუბთან გაიხსნა ანზორ კიკნაძის სახელობის კლუბი და მას სათავეში სპორტის ოსტატი გურამ სირაძე ჩაუდგა — ანზორ კიკნაძის პირველი მწვრთნელი. სოფელში კეთილმოეწყო ჭიდაობის მოედანი და მოაწყდნენ კლუბს ბიჭუნები. მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ, მაგრამ კლუბის შენობა (ვარჯიში სცენაზე ტარდებოდა) ვერ იტევდა მსურველებს, მალე მათ სოფელ ბადიაურში ძველი სკოლის შენობა დაუთმეს და ახლახან ყანდაურის სკოლის სპორტულ დარბაზშიც დააგეს ლეიბები.

ორი წელიც არ გასულა კლუბის დაარსებიდან, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ პერსპექტიული ფალავნები. წლეულს კლუბის აღზრდილი რამდენიმე მოჭიდავე ანზორ მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირზე საპრიზო ადგილებზე გავიდა.

ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ მუშაობას, რომელსაც კლუბი ეწევა ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისათვის. ზემოხსენებულ არსენ მეკოკიშვილის ტურნირზე კლუბის წევრებმა ყანდაურელი მშრომელების სახელით ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზი გადასცეს შეჯიბრებაში გამარჯვებულ ახმეტელ ვასილ ომარაშვილს, ასეთი პრიზების დაწესება უკვე წესად იქცა, რაც ზრდის კლუბის ავტორიტეტს.

ქართული ჭიდაობის დღე ხომ მართლაც საზეიმოდ აღნიშნეს ყანდაურელებმა, გაიმართა შეჯიბრება ყველა წონით კატეგორიაში. სასოფლო საბჭომ და მის ტერიტორიაზე არსებულმა ორგანიზაციებმა სპეციალური პრიზები დააწესეს. ყველაზე საპატიო, ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზი მოიპოვა ბადიაურელმა გოჩა გრიქულოვმა და მისმა თანასოფლელებმა გელა ფირანიშვილმა, გოჩა ლეგაშვილმა, რომლებმაც შესაბამისად ყანდაურის სასოფლო საბჭოსა და სსრ კავშირის გმირის გიორგი გოცირიძის სახელობის პრიზები მოიპოვეს. ყანდაურაში ქართული ჭიდაობის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს ყველა სოფლის წარმომადგენლებმა.

ანზორ კიკნაძის სახელობის კლუბი თავის პირველ ნაბიჯებს დგამს.

**ა. ლეგაშვილი,**
**კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.**
საგარეჯოს რაიონი.

წყალსათხილამურო სპორტი

# „ცისფერ ბილიკებს“ ალმა შეუყვნენ...

ი. გაგარინის სახელობის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობა ნებისმიერი ახალგაზრდა წყალმოთხილამურის ოცნებაა. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ტრადიციულად მინსკში ტარდება, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წყალმოთხილამურეებს პერსონალურად იწვევენ, ასე რომ, აქ მხოლოდ უძლიერესნი იკრიბებიან. იკრიბებიან და მსოფლიოსა და ევროპის თასების გათამაშების, ევროპის ჩემპიონატების საგზურებსაც ინაწილებენ — ასპარეზობის ჩატარების დრო ისეა შერჩეული, რომ იგი წინ უძღვის ამ დიდ ტურნირებს და ამა თუ იმ მაღალი რანგის შეჯიბრებაზე გასაგზავნი გუნდის დაკომპლექტებისას აქ ნაჩვენებ შედეგებს გადამწყვეტი საკონტროლო-საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს.

ახლახან დამთავრებულ რჩეულთა ამ პაექრობაში ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელიც მონაწილეობდა. ვინც თვალს ადევნებს ჩვენში წყალსათხილამურო სპორტის განვითარებას, უმალ მიხვდება ვისზეა ლაპარაკი — რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები გუნდის ლიდერებს, ხათუნა კორკელიას და გენადი პეტრუხინს ვგულისხმობთ. ხათუნამ და გენადიმ ტოლი არ დაუდეს ბევრ ასაკით უფროს, გამოცდილ და ტიტულიან სპორტსმენს და მრავალჭიდში VI ადგილები დაიკავეს (შეჯიბრებაში 13 ქალი და 24 ვაჟი მონაწილეობდა). დღეისათვის უკეთეს შედეგზე ფიქრიც არ შეიძლება — ამაში თავად დარწმუნდებოდით, მონაწილეთა სიისთვის რომ გადაგეხედათ: ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — აი, ვინ იყვნენ ჩვენი ახალბედა სპორტის ოსტატების (ორივემ შარშან, საკავშირო თასის გათამაშებაზე, ფიგურულ სრიალში შეასრულა ეს ნორმატივი) მეტოქეები. ამიტომაც იყო, რომ ყველა გააკვირვა ხათუნა კორკელიას V ადგილმა სლალომში — ახალგაზრდა, ბოლომდე მოუღონიერებელი სპორტსმენისთვის განსაკუთრებით რთულ დისციპლინაში. მან ექვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს აჯობა, უკან ჩამოიტოვა ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მ. ამელიანჩიკი, ს. კობიალკო, ი. გრომიკო, ე. სმირნოვა, ტ. ივანოვა, რაღა თქმა უნდა, ამ სახეობაშიც შეასრულა ოსტატის ნორმატივი, მრავალჭიდში კი 20 ქულა დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამდე.

არც გ. პეტრუხინს უასპარეზია ურიგოდ. მანაც არაერთ ცნობილ წყალმოთხილამურეს აჯობა.

კორკელიასა და პეტრუხინის გამოსვლამ საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა — უფროსთა ნაკრების კანდიდატთა შორის ყველაზე უკეთ ხომ მათ იასპარეზეს. შეფასებას შედეგიც სათანადო მოჰყვა — მალე კორკელია მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა „მეგობრობის თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში, პეტრუხინი კი აგვისტოში ნორვეგიაში, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე გაემგზავრება.

ორივე სპორტსმენი პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლის მოსწავლეა. ისინი საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ფოთის სპორტკლუბ „აიას“ ბაზაზე აღიზარდნენ.

**თ. შენგელია.**

VI

თვის მონაგარი

# მედლები — ყველა რანგის შეჯიბრებაში

დასასრული

...კოვის მახლობლად, მიტიშჩის სახ-როლქოზე, **ტყვიის მსროლელ-თა** საკავშირო ჩემპიონატში, სამი მედალი მოიპოვა. მან ყველას აჯობა პნევმატური (პპ-2) და მცირე-კალიბრიანი პისტოლეტის (მპ-10) სროლაში, ხოლო კიდევ ერთ ვარ-ჯიშში (მპ-5) ვერცხლის მედალი მო-იპოვა.

იუგოსლავიის ქალაქ ოსიეკში **მესტენდურეთა** შეჯიბრებაში ერთდროულად ორი თასი გათამა-შდა — ევროპისა და მსოფლიოსი. ამ შეჯიბრებებიდან თბილისელი **თამაზ იმნაიშვილი**, რომელიც მრგვალ სტენდზე გამოდიოდა, ოთ-ხი მედლით დაგვიბრუნდა. აქედან ორი ვერცხლის მედალი გუნდურ პირველობებში დაისაკუთრა, ხო-ლო ამდენივე „ბრინჯაო" — პირად პირველობაში.

ძალზე გაგვახარეს **თავისუფა-ლი სტილის** მოჭიდავეებმა. მათ კრასნოიარსკში გამართულ საკავ-შირო ჩემპიონატში ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოი-პოვეს. განსაკუთრებით სასიხარუ-ლოა, რომ 130 კგ წონით კატეგო-რიაში გამართულ ფინალურ ბრძო-ლაში ერთმანეთს ორი ქართველი ფალავანი, თბილისელები **დავით გობეჯიშვილი** და **ზაზა თურ-მანიძე** შეხვდა. გობეჯიშვილმა დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუ-ნა. რაც შეეხება კიდევ ერთ თბი-ლისელს, **ლერი ხაბელოვს** (100 კგ), მან ჩემპიონობა შეინარჩუნა.

ჩვენი ჩემპიონების, რომლებიც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატე-ბი არიან, გამოსვლებმა სპეცია-ლისტთა მოწონება დაიმსახურა.

**ძიუდოისტთა** თბილისის XIX საერთაშორისო ტურნირის მონაწი-ლენი თავიანთი ქვეყნის ნაკრებში დასამკვიდრებლად საკუთარი აქ-ციების ამაღლებას ცდილობდნენ. ამიტომ აქ ჩამოსული თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერ-თად თავის გამოჩენას მასპინძლები, საქართველოს ძიუდოისტებიც, ლა-მობდნენ. მათ მიზანს მიაღწიეს — ოთხი ოქროსა და ორი ბრინჯა-ოს მედალი, ვფიქრობთ ჩინებული მაჩვენებელია. გამარჯვებულთა შორის ვიხილეთ თბილისელები **ლერი ნაკანი** (78), **დავით ბა-ბაური** (86), გორელი **გია თენა-ძე** (71) და ქუთაისელი **აკაკი ძი-ბორძალიძე** (მძიმე). მესამე ად-გილებზე გავიდნენ თბილისელები **გურამ მოდებაძე** (65) და **ზუ-რაბ ონიანი** (71).

ამავე ტურნირში გათამაშდა ან-ზორ კიკნაძის სახელობის პრიზი, სადაც საქართველოს ძიუდოის-ტებმა ფინალურ შეხვედრამდე გზა გაიკაფეს, გადამწყვეტ ბრძო-ლებში კი სსრ კავშირის ნაკრებ-თან დამარცხდნენ (1:2).

თბილისელი **ხუთჭიდელი ვახ-ტანგ იაგორაშვილი** ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად, ყველა შე-ჯიბრებაზე, თუ შეიძლება ასე ით-ქვას, ქულებს აგროვებს. ასე იყო ლენინგრადში გამართულ ღია სა-კავშირო ჩემპიონატში, სადაც მან თავისი უახლოესი კონკურენტები საგრძნობლად ჩამოიტოვა და გაი-მარჯვა კიდეც.

**წყალში მხტომელთა** ოლიმპი-ურ საკავშირო ნაკრებში ადგილი პრაქტიკულად დაჯავშნული აქვს თბილისელ **გიორგი ჩოგოვაძეს**, რომელმაც თავისი მაღალი რეპუ-ტაცია ხეულში გამართულ წინა-ოლიმპიურ კვირეულში დაამტკი-ცა. გიორგიმ აქ ჩამოსულ მსოფ-ლიოს ყველა უძლიერეს წყალ-ში მხტომელს 10-მეტრიანი კოშკი-დან ასპარეზობაში აჯობა.

წყალში მხტომელთა საკავში-რო თასის გათამაშებაში, რომელიც თბილისში გაიმართა, მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა **გიორგი შელიუგოვმა** ყველას აჯობა 5-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში. ამ შეჯიბრებაში 1-მეტრიანი ტრამ-პლინიდან და 5-მეტრიანი კოშკი-დან ხტომაში მესამე ადგილები დაიკავა შელიუგოვის თანაგუნდე-ლმა **დიანა მჭედლიძემ**. სამაგიე-როდ, დიანა შეჯიბრების მონაწი-ლეთაგან ერთადერთი იყო, ვინც პროგრამის ორივე სახეობაში სა-პრიზო ადგილები დაიკავა.

ლენინგრადში გამართულ **მოკრი-ვეთა** დიდ საერთაშორისო ტრა-დიციულ ტურნირში ფინალამდე ჩი-ნებულად გაიკაფა გზა თბილისელმა **ალბერტ კაზანჯიანმა** (54). მან „გზად", მეოთხედფინალში, მსოფ-ლიო თასის მფლობელი მარტინესიც დაამარცხა, მაგრამ ფინალში ლენი-ნგრადელ ალექსანდრე არტემიევ-თან შეხვედრაში თავად დამარცხდა.

იურმალას ტრადიციულ საერთა-შორისო ტურნირში თავი მოიყარეს ბულგარეთის, გდრ-ის, შვეციის, ეთიოპიისა და სსრ კავშირის **ჩო-გბურთელებმა**. წყვილთა თანრი-გში ყველას აჯობა თბილისელ **ვლა-დიმერ გაბრიჩიძისა** და **დავით კაჭარავას** წყვილმა.

მინსკში გამართულ 14 წლამდე ასაკის **მოჭადრაკე** გოგონათა მა-ტჩში მსოფლიო პირველობის სა-გზურისთვის გაიმარჯვა თბილისელმა **თეა ლანჩავამ**.

კუბის დედაქალაქში ხოსე რა-ულ კაპაბლანკას მემორიალზე პი-რველი იყო თბილისელი **ზურაბ აზმაიფარაშვილი**. ამასთან, მან მეორედ შეასრულა დიდოსტატის ბალი. ამ წოდებას აზმაიფარაშვილს ფიდე თავის უახლოეს კონგრესზე მიანიჭებს.

ამავე შეჯიბრებაში, ქალთა შო-რის, გაიმარჯვა თბილისელმა **ნინო გურიელმა**.

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გა-მართულ საერთაშორისო საჭადრა-კო ფესტივალზე („ალენ მაკი, ვა-რნა-88") თბილისელმა **ნათია წკე-პლაძემ** პირველი-მეოთხე ადგილე-ბი გაიყო, მაგრამ დამატებითი მაჩ-ვენებლებით მას მეორე ადგილი მიენიჭა.

„თვის მონაგარში" თითქმის ვე-რასოდეს ხვდებიან ჩვენი სპორტის **ტექნიკური სახეობების** წარმო-მადგენლები. ამიტომაა, რომ მათს უიშვიათეს წარმატებებს განსაკუ-თრებულად აღვიქვამთ.

რიაზანში გამართულ ავტოკროს-მენთა საკავშირო შეჯიბრებაში შე-სანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი წა-რგზავნილები. თბილისელმა **ლევან ლლონტმა** „ვოლგის" კლასში მე-სამე ადგილი დაიკავა. სამინისტრო-ებსა და უწყებებს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გუნდურ პირველობაში ყველას აჯო-ბეს. თბილისელებმა ქალაქებს შო-რის მესამე ადგილი დაიკავეს, ხო-ლო ჩვენი გუნდი რესპუბლიკებისა და ოლქების შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში საქა-რთველოს ნაკრები მესამე ადგი-ლზე გავიდა.

ახლა კი ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების შესახებ. ეს ასპარეზობა, როგორც ცნობილია, საგზატკეცილო ველოსიპედისტებმა ჩვენს რესპუბლიკაში მაისის ბო-ლოს დაიწყეს მრავალდღიანი ვე-ლორბოლით და ივნისის დასაწყის-ში დაასრულეს.

საქართველოს წარმომადგენლე-ბმა გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს. პირად ჩათვლაში თბილი-სელმა **ვასილ დავიდენკომ** ოქ-როს მედალი მოიპოვა, ხოლო რუ-სთაველმა **ზარი კეხბამ** ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ასეთი დიდი წარმატებისთვის ჩვენს საგზატკეცილო ველომრბო-ლებს არასოდეს მიუღწევიათ.

სინქრონული **ცურვის** ოსტატე-ბი ვოსკრესენსკში ასპარეზობდნენ. აქ ერთეულთა ასპარეზობაში ბრი-ნჯაოს მედალი თბილისელმა **ნინო მაისურაძემ** მოიპოვა.

**წყალში მხტომლები** ძალას ცდიდნენ სარატოვში, სადაც ჩვე-ნი რესპუბლიკის წარმომადგენე-ლთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა თბილისელმა **იური შუკუროვმა**, რომელმაც 1-მეტრიანი ტრამპლი-ნიდან ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. კოშკიდან ხტომაში მე-სამე იყო მისი თანაგუნდელი თბი-ლისელი ოლეგ ვასილჩენკო.

ახლა ჭაბუკთა საკავშირო სპო-რტული თამაშები, როგორც იტყვი-ან, ძალას იკრებს და, იმედია, ივ-ლის-აგვისტოში ჩვენი რესპუბლი-კის წარმომადგენელთა მონაგარი უფრო ხელშესახები გახდება.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატ-ჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინა-მო" (მოსკოვი) 2:1; „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დნეპრი" (დნეპ-როპეტროვსკი) 2:2, „დინამო" (კი-ევი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:0; „დი-ნამო" (მინსკი) — „შახტიორი" (დო-ნეცკი) 1:0.

## I ლიგა

**გუშინ** შედგა I ლიგის ფეხბურ-თელთა საკავშირო გათამაშების XIX ტურის მატჩები. საქართ-ველოს ორივე გუნდმა შინ მიიღო მეტოქეები.

ლანჩხუთის „გურია" დონის რო-სტოვის არმიელთა გუნდს შეხვდა, ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ბათუმის „დინამომ" ვოლგოგრა-დის „როტორი" მიიღო. თამაში დამთავრდა მასპინძელთა დამარ-ცხებით — 0:1.

## საქართველოს პირველობა

2 და 3 ივლისს გაიმართა რესპუ-ბლიკის საფეხბურთო ჩემპიონა-ტის მე-18 ტურის მატჩები: „სალ-ხინო" (გეგეჭკორი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:0, „სპარტაკი" (ცხი-ნვალი) — „ივერია" (ხაშური) 3:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ბახ-ტრიონი" (ახმეტა) 2:0, „სულორი" (ვანი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „მე-ტალურგი" (ზესტაფონი) 5:4, ფიზ-კულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „დი-ნამო" (ზუგდიდი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:1, „მალაროელი" (ჭიათურა) — „კოლხეთი" (ხობი) 1:2, „ეგრისი" (ცხაკაია) — „შად-რევანი" (წყალტუბო) 2:1, „სქუ-რი" (წალენჯიხა) — „არმაზი" (მცხე-თა) 2:1, „დინამო" (გაგრა) — „ამი-რანი" (ოჩამჩირე) 1:0.

## „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (სოხუმი) 2:2 (1:1)

სამტრედია. „ლოკომოტივის" სტა-დიონი. 2 ივლისი.

**„ლოკომოტივი"**: ბერიძე (თო-დაძე), კოხრეიძე (ლეკვეიშვილი), ვაშაკიძე, თვალაბეიშვილი, რუხა-ძე (კვეტენაძე), ჭელიძე, ბაბუნიძე, კოზოიანი, გენძეხაძე, ტიტვინიძე (ფირცხალავა), პაიჭაძე.

**„დინამო"**: ჟორჟოლიანი, ჩიხ-რაძე (იაკოვლევი), კოვალკოვი, ხუ-რცილავა, დოჩია, ბოსტანჯიანი, მა-მფორია, ახვლედიანი, კვარაცხელია, ჩალიგავა, არუთინიანი.

მსაჯი ვ. მედვედევი (ყაზანი).

ტრადიციულ მეტოქეთა ორთა-ბრძოლა ყოველთვის გამოირჩეოდა შეუპოვრობით, დაძაბულობით. სა-მტრედიელი მაყურებლები რომლებ-მაც გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს, ამჯერადაც საინტერე-სო სპორტულ სანახაობას მოელო-დნენ, მათი იმედი გამართლდა კი-დეც.

პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს. მე-4 წუთზე ბოსტანჯია-ნმა შორიდან დაარტყა და ანგა-რიში გაიხსნა. მასპინძლები საპა-სუხო იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ გოლის გაქვითვა მხოლოდ ტაიმ-მის მიწურულს შესძლეს — გენ-ძეხაძემ ზუსტად დაარტყა 11-მე-ტრიანი — 1:1.

## II ლიგა

არანაკლებ დაძაბულად წარიმა-რთა მეორე ტაიმიც. ჩალიგავამ კა-რგად გამოიყენა სამტრედიელთა დაცვის შეუთანხმებლობა, მეკარე-სთან პირისპირ გავიდა და კვლავ დააწინაურა „დინამო". 70-ე წუთ-ზე შესანიშნავად ითამაშა გენძეხა-ძემ: იგი ცრუ მოძრაობით გასცდა სოხუმელთა მცველებს და ზუსტად დაარტყა მიზანში — 2:2.

თამაში კორექტულად ჩატარდა, საუკეთესო მოთამაშეების პრიზე-ბი გადაეცათ სოხუმელ ახვლედიანს და სამტრედიელ გენძეხაძეს.

**„ლელოს" საკ. კორ.**

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამა-შების მორიგი ტურის მატჩები. „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ოლიმპია" (ლენინაკანი) 1:0, „ნარტი" (ჩერკე-სკი) — „ლორი" (კიროვაკანი) 1:2, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „მე-რცხალი" (მახარაძე) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „სპარტაკი" (ტამ-ბოვი) 1:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 2:1, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „ვო-ლგარი" (ასტრახანი) 0:1, „სპარ-ტაკი" (ანაპა) — „ურალანი" (ელი-სტა) 0:1, „ისკრა" (ერევანი) — „სპა-რტაკი" (ოქტემბერიანი) 2:3.

**გათამაშების ცხრილი**
(III ზონა)
მდგომარეობა 5 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ." ოქ. | 15 | 10 | 2 | 3 | 29-15 | 22 |
| „სპარტ." ნჩ. | 15 | 9 | 2 | 4 | 26-15 | 20 |
| „ტორპედო" | 16 | 9 | 2 | 5 | 26-17 | 20 |
| „ცემენტი" | 15 | 6 | 6 | 3 | 21-16 | 18 |
| „ლორი" | 15 | 8 | 1 | 6 | 21-22 | 17 |
| „ლოკომოტ." | 15 | 7 | 3 | 5 | 19-13 | 17 |
| „კოლხეთი" | 15 | 7 | 3 | 5 | 14-15 | 17 |
| „სპარტ." ტმ. | 15 | 8 | 0 | 7 | 21-25 | 16 |
| „მეტალურ." | 15 | 6 | 2 | 7 | 24-18 | 14 |
| „დრუჟბა" | 15 | 6 | 2 | 7 | 17-11 | 14 |
| „დინამო" | 15 | 6 | 2 | 7 | 15-15 | 14 |
| „ლუჩი" | 16 | 6 | 2 | 8 | 20-22 | 14 |
| „მერცხალი" | 15 | 6 | 2 | 7 | 18-20 | 14 |
| „ურალანი" | 14 | 6 | 1 | 7 | 22-19 | 13 |
| „ვოლგარი" | 15 | 6 | 1 | 8 | 14-21 | 13 |
| „ისკრა" | 15 | 5 | 3 | 7 | 14-26 | 13 |
| „ნარტი" | 16 | 4 | 4 | 8 | 22-24 | 12 |
| „მაშუკი" | 15 | 3 | 6 | 6 | 10-16 | 12 |
| „სპარტ." ან. | 15 | 5 | 1 | 9 | 14-24 | 11 |
| „ოლიმპია" | 15 | 4 | 3 | 8 | 13-25 | 11 |

II ლიგის IX ზონის XI ტუ-რის მატჩების შედეგები: „ტექ-სტილშჩიკი" (კამიშინი) — „დილა" (გორი) 0:4, „სოკოლი" (სარატო-ვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1, „თერგი" (გროზნო) — „დინამო" (მახაჩყალა) 4:1, „ატომმაში" (ვო-ლგოდონსკი) — „ტორპედო" (ვო-ლჟსკი) 2:0, „შევარდენი"-სპი (თბი-ლისი) — „ხაზარი" (სუმგაითი) 3:1, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „ბაკინეცი" (ბაქო) 6:0.

5/VII 129 (9796)

# საუკეთესო იყო განათლების გუნდი

**დამთავრდა** საქართველოს ჩე-მპიონატი ფეხბურთში საშუალო ასაკის ჭაბუკთა გუნდებს შორის, (შეჯიბრებაში მონაწილეობას იღე-ბდნენ 1971-1972 წლებში დაბადე-ბული ჭაბუკები). გათამაშებაში 28 კოლექტივი ჩაება. შეჯიბრება ერთ წრედ ჩატარდა.

45 ქულით პირველი ადგილი ქუ-თაისის განათლების განყოფილე-ბის გუნდმა დაიკავა (სკოლის დი-რექტორი ბ. რევიშვილი, მწვრთნე-ლები ლ. კეჭეხმაძე და ლ. ჯანელი-ძე). 44-44 ქულა დააგროვეს თბი-ლისის 35-ე სპეციალიზებული სა-ფეხბურთო სკოლის (მეორე შე-მადგენლობა) და თბილისის „ავა-ზას" გუნდებმა. დებულების თანახმად ერთმანეთში ჩატარებუ-ლი შეხვედრების ჯამით მეორე ად-გილზე 35-ე სკოლის გუნდი გავიდა. (სკოლის დირექტორი ა. თურ-ქია, მწვრთნელი ვ. ნადირაძე), მესამე ადგილი „ავაზას" ფეხბურ-თელებს ხვდათ წილად (დირექტო-რი მ. მესხი, მწვრთნელები რ. მე-ლიქიძე და ნ. ჩიტაური).



**გ. გვანცელაძე,**
ბავშვთა და მოზარდთა ფეხბუ-რთის სამმართველოს რეზერვე-ბის განყოფილების უფროსი მწვრთნელი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე შეჯიბრებაში გამა-რჯვებული ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდი.

ევროპის ჩემპიონატის ექო

## უვე ზეელერი: „ლამაზ ზეიმს დავესწარით..."

ინტერვიუ გამოჩენილ დასავლეთ-გერმანელ ფეხბურთელთან უვე ზე-ელერთან, რომელსაც ვაქვეყნებთ, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონა-ტის დამთავრების შემდეგ დაიბეჭ-და გაზეთ „იუნგე ველტში" (გდრ).

⊙ როგორ აფასებთ განვლილ ევროპის ჩემპიონატს?

— ეს ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო.

⊙ რომელ გუნდებს გამოყოფ-დით?

— რასაკვირველია, ფინალის-ტებს. ჰოლანდიელებსაც და საბჭო-თა გუნდსაც ძლიერი თავდასხმა ჰყავს. იტალიელებმა ტექნიკური თამაში აჩვენეს, ეს გუნდი ახალ-გაზრდაა და მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის უპირველეს ფავო-რიტად მიმაჩნია.

⊙ რომელი ფეხბურთელი მოგე-წონათ ყველაზე უფრო?

— მარკო ვან ბასტენთან ერთად დავასახელებ იტალიელ ჯანინის.

⊙ თქვენი საფეხბურთო კარიე-რის მერე რა შეიცვალა ფეხბურ-თში?

— თანამედროვე ფეხბურთი უფ-რო სწრაფი და ათლეტური გახ-და, იგი კვლავინდებურად ლამაზი სანახავია. ეს ევროპის ახლახან და-მთავრებულმა ჩემპიონატმაც დაამტ-კიცა. და კიდევ ერთი: თანამედრო-ვე ფეხბურთი უფრო კომერციუ-ლია.

მასალა მოამზადა
**მალხაზ რადიანმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

# სეული — ოლიმპიადის დედაქალაქი • ოლიმპიური მოზაიკა

# ვიდრე დაიწყება... • ცისფერ ეკრანზე



**სეული** მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ქალაქია, რომლის მოსახლეობამ უკვე 10 მილიონს გადააჭარბა. სეულში ამჟამად უმაღლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გიგანტური სამრეწველო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, საავტომობილო და მსუბუქი მრეწველობის კონცერნები არსებობს. სეული კორეის სახელმწიფოს დედაქალაქად ჯერ კიდევ XIV საუკუნის მიწურულს იქცა, აქ მრავლადაა შუა საუკუნეების საინტერესო ძეგლები, ქალაქი თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

საგანგებოდ XXIV ოლიმპიური თამაშებისთვის სეულში ააგეს ოლიმპიური კომპლექსები, მთავარი სტადიონი 70 ათას მაყურებელს იტევს, აქ გაიმართება ოლიმპიადის საზეიმო გახსნა და დახურვა, შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში, საფეხბურთო ტურნირის ფინალი, სხვა სპორტულ კომპლექსებში მოეწყობა ოლიმპიური შეჯიბრებები ცურვაში, კრივში, კალათბურთში, ძალოსნობაში და ა. შ.

⊙ **სეულის** ოლიმპიურ თამაშებში რომ გაიმარჯვო, ბირთვი სულ ცოტა 22 მეტრსა და 60 სანტიმეტრზე უნდა ჰკრა. ასე ფიქრობს მსოფლიოს რეკორდსმენი ულფ ტიმერმანი (გდრ). მთავარ კონკურენტთა შორის იგი ასახელებს თანაგუნდელ უდო ბაიერს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ვერნერ გიუნტერს (შვეიცარია), ალესანდრო ანდრეის (იტალია), რენდი ბარნსს (აშშ) და რომელიმე საბჭოთა მძლეოსანს.

⊙ **მსოფლიოს** შარშანდელი ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში ფრანგი ჟოელ ბუზუ თავს კარგად გრძნობს და მზადაა სეულში ოქროს მედლისთვის იბრძოლოს. ამ დღეებში მან ორი პირადი მიღწევა გააუმჯობესა — ცურვის დისტანცია სამწუთნახევარში დაფარა, 4-კილომეტრიან კროსზე კი 12 წუთი და 49 წამი აჩვენა. — ვიბრძოლებ ჩემპიონის ტიტულისთვის, თქვა მან, მაგრამ თუ დავმარცხდი, მას ტრაგედიად არ ვაქცევ. სპორტში ვიღაც მუდამ შეიძლება შენზე ძლიერი იყოს.

⊙ **შვეციის** ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერჯერობით 77 სპორტსმენი დაასახელა, რომლებიც უსათუოდ გაემგზავრებიან სეულში. კანდიდატთა შორის არიან: მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში პატრიკ შებერგი, 1984 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 50 კილომეტრზე სიარულში ბუ გუსტაფსონი, მაგიდის ჩოგბურთელები იან-უვე ვალდნერი და მიკაელ აპელგრენი, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ანდერს ჰოლმერცი.

⊙ **ბარსელონის** ოლიმპიადამდე ესპანეთის ამ ქალაქში ჩატარდება ე. წ. „კულტურული ოლიმპიადა". მისი პროგრამა დაეთმობა საოპერო მუსიკასა და „როკ-ანსამბლებს". მოეწყობა სხვადასხვა ხასიათის გამოფენები. მათ შორის წამყვანი იქნება კომპოზიცია — „ოლიმპიური მოძრაობის ისტორია".

⊙ **ოლიმპიური** შესარჩევი ტურნირები ზოგჯერ მოულოდნელი შედეგებით მთავრდება. ერთი ასეთი სენსაცია მოხდა კანადაში, მოცურავეთა ოლიმპიური გუნდის წევრების შერჩევაზე. მსოფლიოს რეკორდსმენმა 200 მ. ბრასის სტილით ცურვაში ვიქტორ დევისმა ვერ აჩვენა საკონტროლო ნორმატივი და მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილებით იგი მხოლოდ 100 მეტრზე ცურვაში იასპარეზებს.

⊙ **42 წლის** შვედი მოფარიკავე ქალი კესტინ პალმი იბრძვის იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მოხვდეს. თუ ეს მან შეძლო, სეულის თამაშები მის ცხოვრებაში მეექვსე ოლიმპიადა იქნება. ჟურნალისტების აზრით პალმმა რომ ვერც მოიპოვოს ამის უფლება, ღირსია გაემგზავროს ოლიმპიადაზე.

⊙ **გაზეთ** „ბანგლადეშ ტაიმსის" ცნობით უკვე დაკომპლექტდა ქვეყნის ოლიმპიური გუნდი. მის შემადგენლობაში შევიდა ოთხი მძლეოსანი და ორი მოცურავე. დელეგაციას სეულში გაუძღვება ექვსი ოფიციალური პირი. ამის თაობაზე გაზეთის კორესპონდენტი ირონიულად შენიშნავს: „ჩვენი დელეგაციის თითოეულ წევრს თითო ხელმძღვანელი ეყოლება".

⊙ **პორტუგალიის** ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით ამ ქვეყნის სპორტსმენებს თამაშებისთვის მზადების პერიოდში რეგულარულად შეამოწმებს დოპინგსაწინააღმდეგო კომისია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შეჯიბრებაში. შემჩნეული ოლიმპიელები დაისჯებიან მკაცრად: მათ საერთოდ აეკრძალებათ სპორტულ შეჯიბრებებში გამოსვლა.

⊙ **ლიბანის** ოლიმპიური კომიტეტი სეულში გააგზავნის ექვს სპორტსმენს და დელეგაციის ხელმძღვანელს. ამჟამად ამ ქვეყნის სპორტსმენები წვრთნას საფრანგეთის სპორტულ ბაზებზე გადიან.

**სეულის** ოლიმპიადის წინ მსოფლიოს უძლიერესი ველოსიპედისტები, როგორც წესი, დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ.

**ლეიფციგი.** სპრინტერთა შეჯიბრება მოიგო რალფ კუშიმ (გდრ), რომელმაც ფინალში დაამარცხა თანამემამულე, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი მიჰაელ ჰიუბნერი. დანარჩენ გამარჯვებულთაგან უნდა აღინიშნოს ავსტრალიელი ოლიმპიური ჩემპიონი დინ ვუდსი. იგი უძლიერესი იყო გამოდევნებით რბოლაში 4 კილომეტრზე — 4.43,06, მსოფლიოს ექსჩემპიონი მაიკ მალჰოვი (გდრ) — მოიგო 1 კმ-ზე გიტი (ადგილიდან) — 1.06,63 და გდრ-ის კვარტეტის 4-კილომეტრიან დისტანციაზე — 4.23,09.

**ორხუსი.** სპრინტერთა შორის „დანიის დიდი პრიზის" გათამაშებაში უძლიერესი ოლიმპიური ჩემპიონი ლუც ჰესლიჰი (გდრ) იყო.

**ბრნო.** აქ გაიმართა შეჯიბრება გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე „ევროპის დიდ პრიზზე", რომელიც ჩეხოსლოვაკიელმა რომან ჩერმაკმა მოიგო — 4.53,03.

**ტალინი.** ამ ქალაქის დიდი პრიზის გათამაშებაში ჩემპიონები გახდნენ: ალმაათელი ა. კლაუსი (4 კმ გამოდევნებით რბოლასა და 1 კმ გიტში), ა. რომანოვი და ა. შოპინი (სალიდერო რბოლაში), „ალატაუს" ოლიმპიური მომზადების ცენტრის წარმომადგენლები მ. სატიბადიევი და ვ. ტოლკაჩოვი (ჯგუფურ რბოლაში 100 და 120 წრეზე), რიგელები ა. ალექსანდროვი და ა. უდრისი (წყვილთა რბოლაში).

**პრაღაში** გაიმართა ინტერხედვისა და ევროხედვის ქვეყნების წარმომადგენელთა მოლაპარაკება, რომელზეც მომავალი ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლიაციების საკითხები განიხილეს. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ივანიცკი, რომელმაც პრესის მუშაკებს განუცხადა:

— დღიდან სეულის თამაშების დაწყებისა — 17 სექტემბრიდან ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალამდე — 2 ოქტომბრამდე — ცენტრალურ ტელევიზიას განზრახული აქვს სეულიდან გადმოცემულ რეპორტაჟებს 200 საათი დაუთმოს. დაახლოებით ამდენივე დროს დაუთმობენ ინტერხედვისა და ევროხედვის მონაწილე სხვა ქვეყნები.

უკვე ზუსტდება შეჯიბრებათა ტრანსლაციის დრო. ვითვალისწინებთ რა დროში სეულთან 6-საათიან სხვაობას, თამაშების გახსნას პირდაპირი რეპორტაჟით მივიღებთ. ეს მოხდება 17 სექტემბერს, შემდეგ კი ყოველდღიურად სეულის ტელეცენტრთან მუდმივმოქმედი თანამგზავრის კავშირის არხებით ვნახავთ თამაშების ორთაბრძოლებს დასავლეთ ევროპაში, შემდეგ კი ოსტანკინოში გადაიცემა მთელი შეჯიბრების მსვლელობის უწყვეტი ტრანსლიაცია. რა თქმა უნდა, მათი კომენტატორები იქნებიან საბჭოთა მიმომხილველები, რომლებიც სეულში ჩავლენ. ესენია: გ. სურკოვი, ვ. მასლაჩენკო, ჯ. პერეტურინი, ა. კურაშოვი, ა. დმიტრიევა, ნ. ერიომინა. გამოცდილების შეძენის მიზნით მათთან ერთად გაემგზავრება ახალგაზრდა ტელერეპორტიორთა ჯგუფი, რომელშიც 25-28 კაცი იქნება. ეს ძალზე მცირე რაოდენობაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაგალითად, გდრ-ის ტელევიზიას ორმოცდაათამდე, ხოლო აშშ-ს ათასხუთასამდე ტელემიმომხილველი ეყოლება თამაშებზე.



# ხელოვნებისა და სპორტის სიყვარულით

**გიგლა ფირცხალავას** ყველა თავის მეგობრად თვლიდა. ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის უჩვეულო უნარი ჰქონდა და ეს უნარი, ბოლოს და ბოლოს, მისი ცხოვრების წესად გადაიქცა. გიგლა ალალი და ნაღდი ხელოვანი იყო, დიდი იუმორის კაცი, სპორტის მოყვარული და რაც მთავარია, მოქალაქე — თავისი ხალხისა და ერის ცხოვრებაზე დაფიქრებული შემოქმედი.



მურთაზ ხურცილავა.




პელე

ფიქრობდა იმიტომ, რომ არ მოსწონდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბევრი მანკიერი მხარე და თავისი დაუნდობელი ყალმით მათი გამოსწორების გზებს ეძებდა. ასეთ დროს იგი მართლაც შეურიგებელი იყო.

შემოქმედებითი აღმაფრენის ჟამს იგი თვეობით ჩაიკეტებოდა სახელოსნოში და საყვარელი ადამიანების შთაგონებულ პორტრეტებს ძერწავდა. ამ დროს იგი ჭეშმარიტი ხელოვანი იყო.

თავისუფალ დროს კი... თუმცა თავისუფალი დრო მას ფაქტობრივად არც ჰქონდა, სახელოსნოდან გამოსული თავისებურად მაინც დასაქმებული იყო — დაობდა, კამათობდა, ეძებდა შემოქმედებითი სრულყოფის გზებს, სწორ სიტყვას, ნათელ აზრს.

სპორტი იმიტომ უყვარდა, რომ ყველაზე სამართლიან ასპარეზად მიაჩნდა. რა არის იმაზე კარგი, იტყოდა ხოლმე, როცა ზუსტად შეიძლება გაარკვიო ვინ უფრო ღირსეულია, ვინ უფრო ძლიერია, ვინ ტყუის და ვინ მართალს ამბობს.

გიგლამ ამ სიმართლის ძებნაში მსოფლიო მოიარა, ბევრი რომ გაგონილი ჰქონდა, ბევრიც საკუთარი თვალით ნახა. მაგრამ ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დარჩა. ნამდვილ სიხარულს მხოლოდ ერთი რამ ანიჭებდა: როცა მისი ქვეყნის შვილი მიაღწევდა რაიმე წარმატებას.

იუმორი მისი არც ისე გრძელი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ამ იუმორში ხშირად რაღაც სევდაც იყო გარეული. იქნებ იცოდა კიდეც, რომ ბევრი სურვილი და ნატვრა აუსრულებელი დარჩებოდა.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გიგლა ფირცხალავას პერსონალური გამოფენა თბილისში; სპორტული შარჟები.**

## ინფორმაცია

**ამსტერდამი.** საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა წარმატებით დაამთავრა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების ჯგუფური ტურნირი. ბოლო მატჩში მან შვეიცარიის ნაკრებს აჯობა — 109:61 (62:28). ახლა ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები (სულ რვა გუნდი) ფინალურ ტურნირში სეულის ოლიმპიადის სამ საგზურს გაითამაშებენ.

**ნაგანო** (იაპონია). საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართეს იაპონელებთან და გაიმარჯვეს — 3:0 (15:9, 16:14, 16:14).

**ხარკოვი.** დამთავრდა სსრ კავშირის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში. ზემძიმე წონაში პირველი ადგილი ტაგანროგელმა ალექსანდრე გუნიაშევმა მოიპოვა — 465 კგ. ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ძალოსნები, რაც მიმომხილველებს ამ შეჯიბრების მთავარ ნაკლად მიაჩნიათ.

**ვილნიუსი.** ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრების პროგრამის ერთ-ერთი ურთულესი სახეობა გახლდათ ჯგუფური რბოლა 237 კილომეტრზე, რომელიც 25 წლის კიშინიოველმა ანდრეი ჩმილმა მოიგო —5:23.33.

**მოსკოვი.** ბეისბოლისტთა მეორე საკავშირო შეჯიბრება უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიგეს. ფინალში მათ მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბეისბოლისტები დაამარცხეს.

**სან-ხუანი** (არგენტინა). საბჭოთა კავშირის რეგბისტებმა აქ ორი ამხანაგური შეხვედრა მოიგეს: ჯერ ენტრე რიოსის პროვინციის გუნდი დაამარცხეს (43:13), მერე კი სან-ხუანის პროვინციის გუნდს აჯობეს — 29:12.

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 26-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 25-27 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.369.181 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (15) მოგებამ შეადგინა 3.369 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (557) — 181 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.680) — 40 მანეთი.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.175.790 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (14) მოგებამ შეადგინა 3.402 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (602) — 158 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (7.235) — 46 მანეთი.

26-ე ტირაჟისა და სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 18 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 27-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბობსლეი), 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 24 (ხელბურთი).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.** 5 **ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა ტალინიდან) — **21.15 (2).**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი

7 ივლისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„შევარდენი"-სპი (თბილისი)— „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩის შემდეგ გათამაშდება საფეხბურთო სპორტული ლატარია.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10796